

ალექსი ჭინჭარაული

სამეტყველო კოდების შერევისათვის
დავით გურამიშვილის ენაში

როგორც ცნობილია, დავით გურამიშვილმა მისი ხანგრძლივი სიცოცხლის (87 წელი) სამი მეოთხედი რუსულენოვან საზოგადოებაში გაატარა. ამიტომ ბუნებრივია, რომ, როცა მისი პოეზიის ხალხურ პოეზიასთან მიმართებაზე ვლასპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ ერთი საგულისხმო ფაქტი: პოეტს ქართული ხალხური პოეზიიდან მოხმობილი აქვს 8 ხალხური ლექსი, ხოლო რუსულ-უკრაინული — 11.

დავით გურამიშვილის ენაში რუსიციზმები არ გვხვდება, მაგრამ მისი სამეტყველო კოდები შერეული ჩანს: მის პოეზიაში შეინიშნება რუსულად აზროვნების ელემენტები:

ა) დავითს აქვს ლექსი: „სიმღერა, რომელ არს ამისის ვმის სიმღერა რუსულად: „ნეთუ ზლოსთი ნადომნოიეუ (ასეა!), უმენშით მნე პეჩალ მოიუ“ (გვ.142, 1955 წ. საიუბ. გამოცემა). კ.კეკელიძისეული კომენტარი ასეთია: „ქართული ტრანსკრიფცია რუსული ხალხური სიმღერის დასაწყისისა: "Нет злости надо мною, уменьшить мне печаль мою", ქართულად: „ბოროტება არ მფლობს მე, უნდა შევამცირო ჩემი სევდა“ (გვ.318). რუსული ტექსტიც უაზროა და თარგმანიც არაადეკვატური.

ვვარაუდობთ, რომ რუსული სიმღერა იწყებოდა ასე: нет власти надо мною... ტრანსკრიპციებისას პოეტმა დაწერა: „ნეთუ ვლასთი ნადო მნოიუ“..., მაგრამ გადათეთრებისას ვლასთი-ს პირველი ქართული ასო ვ ამოიკითხა როგორც რუსული ვ (ზ) და „გადააქართულა“, ვ-ს ადგილას (ვინი) ზ დაწერა და „ვლასთი“-ს მაგიერ მივიღეთ „ზლოსთი“. ახლა რუსული შესიტყვება სრულიად გასაგებია და მისი თარგმანიც ბუნებრივი გამოდის: нет власти надо мною, уменьшить мне печаль мою — „თავს ვერ ვერევი (თავს ვერ ვეუფლები), რომ შევამცირო ჩემი სევდა“.

ბ) „არზა“-ს, რომელიც პოეტს მირიან ბატონიშვილისათვის მისართმევედ დაუწერია, ასე ამთავრებს: „მოწიწებით მიწა-პირგაერთებით თაყვანისმცემელი მათი მონა და ყმაყოფილი გურამიშვილი დავით. წელსა 1787, სეკდემბერს“ (გვ.288). მეორე, წისქვილისა და წყალსაქაჩისთვის დართული წერილი, რომელიც რუსულად უნდა თარგმნილიყო და მთავრობას მიართმეოდა, ასე მთავრდება: „Поручик княз Давид Гурамов, წელსა, 1787, септемберს“. ვვარაუდობთ, რომ ნ-ს გაჩენა და მ-ს ამოღება თვის ქართული სახელწოდებიდან რუსულმა сеп-тябрь-მა განაპირობა.

Alexi Chincharauli

**On the Mixing of Speech Codes in David Guramishvili's Language
Summary**

Judging from the fact that David Guramishvili spent most of his long life in the Russian-speaking surroundings, it is natural that there occur some elements of the Russian thinking in the language of his poetry.